კონფიდენციალურობის პოლიტიკა
შინაარსი

1. AETIS - ვინ ვართ და როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ?
2. რატომ შევქმენით წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა?
3. მოცემული კონფიდენციალურობის პოლიტიკის მოქმედების სფერო და ფარგლები.
4. ცვლილებები მოცემულ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში. მიმდინარე და წინა რედაქციები.
5. ტერმინოლოგია და ინტერპრეტაცია.
6. პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც ვამუშავებთ (ვიყენებთ) თქვენს პერსონალურ მონაცემებს.
7. ვის პერსონალურ მონაცემებს ვაგროვებთ ჩვენ?
8. როგორ და რა პერსონალურ მონაცემებს ვაგროვებთ და რის საფუძველზე?
9. როგორ ვამუშავებთ (ვიყენებთ) და ვამჟღავნებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?
10. როგორ და სად ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?
11. რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?
12. რა უფლებები გაქვთ თქვენს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით?
13. რა არის ქუქი-ფაილები და როგორ ვაგროვებთ და ვამუშავებთ (ვიყენებთ) მათ?
14. თქვენი პერსონალური მონაცემების ჩვენთვის მიწოდების ან არ მიწოდების სამართლებრივი შედეგები.
15. ვის შეგიძლიათ მიმართოთ, საჩივრის(პრეტენზიის) შემთხვევაში?

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

1. AETIS - ვინ ვართ ჩვენ და როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ?

1.1 შპს „აიპი რეგისტრი“ (ს/ნ 404619659) (აქამდე და შემდგომში მოხსენიებული, როგორც **„AETIS“** ან **„ჩვენ“**) არის საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, და უზრუნველყოფს ინტელექტუალურისაკუთრების ობიექტების (ელემენტების) ნებისმიერი სახის ატვირთვის (და ჩამოტვირთვის) და შენახვის მომსახურებას – საავტორო უფლებების, მომიჯნავე უფლებების ობიექტების, სასაქონლო ნიშნების, პატენტები და ა.შ. (**„IP ელემენტი“**) – დანერგილი ონლაინ სერვისის (**„სერვისი“** ან **„სერვისები“**) მეშვეობით, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში,

საიტზე – https://aetis.ge („საიტი“) და რეგისტრირებული: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მიხეილ ზანდუკელის ქ., N 18ა.

1.2 როდესაც თქვენ იყენებთ ჩვენს საიტს და (ან) სერვისებს, ან ურთიერთქმედებაში შემოდიხართ ჩვენთან თქვენთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი ციფრული საშუალებით (მაგალითად, ჩვენი საიტის გვერდების მონახულება და ნახვა; საიტზე წარმოდგენილი ფუნქციების გამოყენება; ატვირთვა (ჩამოტვირთვა), ინსტალაცია და გამოყენება ჩვენი ოფიციალური აპლიკაციების ("**აპლიკაცია**" ან "**აპლიკაციები**"); ელექტრონული შეტყობინებების გაგზავნა და ა.შ.) და არაციფრული საშუალებებით (მაგალითად, ფიზიკური წერილების გაგზავნა ჩვენს საფოსტო მისამართზე; დაუკავშირდით ჩვენს სპეციალისტებს ტელეფონით და ა.შ.), აღნიშნულ იქმედებით გვიზიარებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

ჩვენ ვაგროვებთ, ვინახავთ და ვამუშავებთ (ვიყენებთ) ასეთ პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მითითებული გზებით და აქ აღნიშნული მიზნებისთვის.

ამასთან დაკავშირებით, თქვენთან და თქვენს პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით, ჩვენ გამოვდივართ პერსონალური მონაცემების დამმუშავებლად. რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად:

1.2.1. ვახორციელებთ თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებას (მიღებას), შენახვას და დამუშავებას (გამოყენებას);

1.2.2. განვსაზღვრავთ შემდეგ სიას:

1.2.2.1. სიას თქვენი პერსონალური მონაცემებისა, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ (ვიღებთ), ვინახავთ და ვამუშავებთ (ვიყენებთ);

1.2.2.2. თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვების (მიღების), შენახვისა და დამუშავების (გამოყენების) მიზნებს;

1.2.2.3. თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვების (მიღების), შენახვისა და დამუშავების (გამოყენების) მეთოდებსა და საშუალებებს;

1.2.2.4. მატერიალურ, ტექნიკურ და სამართლებრივ ზომებს, რომელიც მიმართულია თქვენი პერსონალური მონაცემების დასაცავად.

1.3. თქვენ შეგიძლიათ, შეკითხვით მიმართოთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს იმის თაობაზე, თუ როგორ ვაგროვებთ (ვიღებთ), ვინახავთ, ვამუშავებთ (გამოვიყენებთ) და ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, ასევე, როდესაც გსურთ თქვენი მონაცემთა სუბიექტის რომელიმე უფლების გამოყენება ან როდესაც გაქვთ შეკითხვები შინაარსის ან თქვენი მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელების პროცედურასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს შემდეგი გზით:

მონაცემთა დაცვის ოფიცრის კონტაქტები	
საფოსტო მისამართი:	თბილისი, კოსტავას #68
ელექტრონული მისამართი:	support@aetis.ge
ტელეფონის ნომერი:	032 240 93 40

2. რატომ შევქმენით წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა ?

ჩვენ ვაფასებთ ნდობას, რომელსაც გვიცხადებთ თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარებისას. ვაღიარებთ, რომ კონფიდენციალურობის უფლება ყოველი ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებათაგანია და ასევე ვაღიარებთ, თქვენი პერსონალური მონაცემების მნიშვნელობას თქვენთვის და გვესმის კონფიდენციალურობის შენარჩუნების მნიშვნელობა, აუცილებლობა და ჩვენ უზრუნველვყოფთ თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებასა და დაცვას.

მოცემული კონფიდენციალურობის პოლიტიკა შეესაბამება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონს, მის კონსოლიდირებულ ვერსიას (09/02/2023).

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიზანია გაცნობოთ, ნათლად და გასაგებად თუ როგორ ვაგროვებთ (ვიღებთ), ვინახავთ, ვამუშავებთ (გამოვიყენებთ)

და ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს; ასევე, რა უფლებები გაქვთ თქვენს პირად მონაცემებთან დაკავშირებით და როგორ შეგიძლიათ მათი გამოყენება.

ამასთან დაკავშირებით, გირჩევთ, რომ სწორად წაიკითხოთ მოცემული კონფიდენციალურობის პოლიტიკა და სამომავლოდ, თქვენი ინიციატივით, შეისწავლოთ ჩვენი შემდგომი შეტყობინებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება თქვენი პირადი ინფორმაციის შეგროვებასთან (მიღებასთან), შენახვასთან, დამუშავებასთან (გამოყენებასთან) და დაცვასთან. მონაცემები, რათა ყოველთვის იცოდეთ როგორ და რატომ ვაგროვებთ (ვიღებთ), ვინახავთ, ვამუშავებთ (ვიყენებთ) და ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

3. წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკის მოქმედების სფერო და ფარგლები

3.1. წინამდებარე პოლიტიკა შემუშავებულია და გამოიყენება ჩვენი პერსონალური მონაცემების შეგროვების (მიღების) და დამუშავების (გამოყენების) მიმართ მაშინ, როდესაც თქვენ:

3.1.1. იყენებთ ჩვენს სერვისებს; და (ან)

3.1.2. ურთქმედებაში შემოდიხართ ჩვენთან, ჩვენს საიტზე თქვენთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი ციფრული საშუალებით (მაგალითად, ჩვენი საიტის გვერდების მონახულება და ნახვა; იყენებთ საიტზე წარმოდგენილ ფუნქციებს; ტვირთავთ (ჩამოტვირთავთ), ჩვენი ოფიციალური აპლიკაციების ინსტალაციითა და გამოყენებით; გზავნით ელექტრონულ შეტყობინებებს და ა.შ.) და არაციფრული საშუალებებით (მაგალითად, ფიზიკური წერილების გაგზავნა ჩვენს საფოსტო მისამართზე; ჩვენს სპეციალისტებთან ტელეფონით დაკავშირება და ა.შ.).

3.2. უფრო მეტიც, ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა ვრცელდება თქვენს პერსონალურ მონაცემებზე, რომელიც, გარკვეულ შემთხვევებში, ჩვენ შეიძლება მივიღოთ ღია და საჯარო წყაროებიდან და (ან) მესამე მხარისგან; ისევე როგორც, ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა ვრცელდება თქვენს იმ პერსონალურ მონაცემებზე, რომელიც, გარკვეულ შემთხვევებში, ჩვენ შეიძლება მივიღოთ მხოლოდ თქვენი იმ პერსონალური მონაცემების გამოყენებით, რომელიც უკვე მოგვაწოდეთ პირადად.

3.3. ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა ვრცელდება ყველა ვებსაიტზე, დომენზე და ქვედომენზე, აპლიკაციებზე, სერვისებზე, პროდუქტებსა და ხელმოწერებზე და ა.შ., რომელიც ეკუთვნის ჩვენს შვილობილ კომპანიებს.

4. ცვლილებები ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში. მიმდინარე და წინა რედაქციები

4.1. ჩვენ მუდმივად ვაკვირდებით მოცემული კონფიდენციალურობის პოლიტიკის დებულებების შესაბამისობას მონაცემთა დაცვის ეროვნული და ევროპული კანონმდებლობის დებულებებთან. ამასთან დაკავშირებით, ვიტოვებთ უფლებას ნებისმიერ დროს შევცვალოთ ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა. თუმცა, ჩვენ გაძლევთ გარანტიას მასზედ, რომ მივიღებთ გონივრულ და აუცილებელ ზომებს, რათა მოგაწოდოთ სრული და მკაფიოდ გაცხადებული ინფორმაცია ჩვენ მიერ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე (მათ შორის, თქვენი პირადი ანგარიშის ინტერფეისში შესაბამისი შეტყობინებების გაგზავნით, თქვენს ელფოსტის მისამართზე და ა.შ.).

4.2. წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიმდინარე ვერსია ყოველთვის ხელმისაწვდომია ონლაინ წასაკითხად, დასაბეჭდად ან ჩამოსატვირთად თქვენს ტექნიკურ მოწყობილობებზე ჩვენი საიტის კონფიდენციალურობის პოლიტიკის განყოფილებიდან. გარდა ამისა, ნებისმიერ დროს, შეგიძლიათ მოგვწეროთ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მოითხოვოთ ამ პოლიტიკის უახლესი ვერსია: support@aetis.ge

4.3. თუ, გსურთ მიიღოთ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის წინათ მოქმედი ვერსიები, ასევე შეგიძლიათ მოგვწეროთ ამის შესახებ ზემოაღნიშნულ ელ. ფოსტის მისამართზე. ჩვენ სიამოვნებით გამოგიგზავნით წინამორბედი ვერსიების ასლებს (იმ პირობით, თუ ადრეც არსებობდა ამ პოლიტიკის სხვა გამოცემები).

5. ტერმინოლოგია და ინტერპრეტაცია

5.1.სიტყვები **"ჩვენ","ჩვენთან","ჩვენი"** და მათგან წარმოებული ტერმინები ნიშნავს **ორგანიზაციის სახელს** და **AETIS-სს.**

5.2. სიტყვები **"თქვენ", "თქვენს", "თქვენი"** და მათგან წარმოებული ტერმინები ნიშნავს ფიზიკურ პირებს, რომლებიც გვიზიარებენ თავიანთ პერსონალურ მონაცემებს ჩვენთან (მონაცემთა სუბიექტები).

5.3. ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა შეიცავს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ძირითად პირობებს. ჩვენ ვიყენებთ ისეთ ტერმინებს ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში და იმ მნიშვნელობით, რაც მათ გააჩნიათ მონაცემთა დაცვის კანონებში, რომლებიც თავის მხრივ გამოიყენება ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან მიმართებით. ასეთი ტერმინების გაგებისა და მათი მნიშვნელობების ინტერპრეტაციისთვის და სიმარტივისა და ხელმისაწვდომობისთვის, გთავაზობთ შესაბამის ტერმინებს და მათ ინტერპრეტაციას პირდაპირ კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისი განყოფილებების ტექსტში.

6. პრინციპები, რომელთა მიხედვითაც ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებისას, ჩვენ ვხელმძღვანელობთ შემდეგი ფუნდამენტური, მონაცემთა დამუშავების პრინციპებით:

№	პრინციპი	მოთხოვნები	რას ვაკეთებთ შესაბამისობისთვის?
1.	**დამუშავების კანონიერების დაცვა**	თქვენი პირადი მონაცემების დამუშავება (გამოყენება) უნდა განხორციელდეს კანონიერ საფუძველზე	ჩვენ ვზრუნავთ, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც ვამუშავებთ (გამოვიყენებთ) თქვენს პერსონალურ მონაცემებს, გვქონდეს ამის მინიმუმ ერთი საფუძველი, რომელიც ასახულია კანონმდებლობაში.თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას (გამოყენებისას), ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებს მათი დამუშავებისთვის (გამოყენებისთვის): ✓ თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებაზე (გამოყენებაზე) თქვენი თანხმობა; და (ან) ✓ თქვენს წინაშე, ჩვენი საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება; და (ან) ✓ სავალდებულო სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობა; და (ან) ✓ ლეგიტიმური ინტერესის ქონა.
2.	**სამართლიანობის დაცვა დამუშავებისას**	თქვენი პირადი მონაცემების დამუშავება (გამოყენება) უნდა განხორციელდეს გონივრული მოლოდინების გათვალისწინებით, რომელიც	ჩვენ შევიმუშავეთ და ვიყენებთ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დროულად და მარტივად და ხელმისაწვდომად მოგაწოდოთ

		გქონდათ თქვენი პირადი მონაცემების ჩვენთვის მოწოდების გადაწყვეტილების მიღებისას.	ინფორმაცია ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც ჩვენ შეგვაქვს, ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში.
3.	**გამჭვირვალობა დამუშავებისას**	თქვენი პირადი მონაცემების დამუშავება (გამოყენება) უნდა განხორციელდეს ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების გამოყენებით რომელიც საშუალებას მოგვცემს, თქვენი პირადი მონაცემების შეგროვებამდე და დამუშავებამდე (გამოყენებამდე), გადმოგცეთ თქვენთვის ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი ფორმით თუ როგორ ხდება, თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების (გამოყენების) მთელი პროცესი, ისე რომ იცოდეთ ვინ ვართ ჩვენ, და როგორ და რატომ ვაგროვებთ, ვინახავთ, ვიყენებთ და ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.	ჩვენ შევიმუშავეთ და გამოვაქვეყნეთ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის ტექსტი საჯარო დომენში, ინტერნეტში. შევიმუშავეთ და ვიყენებთ სპეციალურ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს რომლებიც საშუალებას გვაძლევს, საჭიროების შემთხვევაში, გამოგიგზავნოთ დამატებითი შეტყობინებები თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, შენახვასთან, დამუშავებასთან (გამოყენებასთან) და დაცვასთან დაკავშირებით. ჩვენ დავნიშნეთ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და გამოვაქვეყნეთ მისი საკონტაქტო ინფორმაცია საჯარო დომენში, ასე რომ თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს დაუკავშირდეთ მას და მიიღოთ რჩევა, რომელიც გჭირდებათ ნებისმიერ კითხვაზე, თუ როგორ ვაგროვებთ, ვინახავთ, ვამუშავებთ (გამოვიყენებთ) და ვიცავთ, თქვენს პირადი მონაცემებს. ჩვენ შევიმუშავეთ და ვიყენებთ სპეციალურ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საშუალებას გაძლევთ განახორციელოთ თქვენი უფლებები, თქვენს პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით, უსწრაფესი და ეფექტური გზით.

4.	**მიზნობრივი შეზღუდვა**	თქვენი პირადი მონაცემების დამუშავების (გამოყენების) მიზნები: ✓ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას; და ✓ კონკრეტულად უნდა იყოს იდენტიფიცირებული და გადმოცემული თქვენთვის თქვენი პირადი მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების დაწყებამდე.	ჩვენ დავრწმუნდით რომ: ✓ თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებასთან (გამოყენებასთან) მიმართებით არსებული ჩვენი მიზნები, ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში, ფორმულირებულ იქნა და ჩამოყალიბდა, მარტივ და გასაგებ ენაზე; ✓ გქონდათ შესაძლებლობა გაცნობილიყავით ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის ტექსტს, სანამ გადაწყვეტდით თქვენი პირადი მონაცემების გაზიარებას; ✓ თქვენი პირადი მონაცემების შეგროვება, შენახვა და დამუშავება (გამოყენება) განხორციელდა მხოლოდ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის დებულებებთან შესაბამისობის მიზნით და ჩვენი სხვა შეტყობინებების დებულებებთან შესაბამისობაში

			რომლებზეც ჩვენ, გარკვეულ შემთხვევებში, თქვენი პირადი მონაცემების შეგროვების, შენახვის, დამუშავებისა (გამოყენების) და დაცვის დროს, გქვქონდა უფლება რომ გამოგვეგზავნა თქვენთვის.
5.	**მონაცემთა მინიმიზაცია**	ჩვენ მიერ, უნდა შეგროვდეს და დამუშავდეს მხოლოდ ის პირადი მონაცემები რომელიც ადეკვატური და შესაბამისია, რათა მიღწეულ იქნას დამუშავებისთვის (გამოყენების) განსაზღვრული მიზნები.	ჩვენ არ ვაგროვებთ ან ვამუშავებთ (ვიყენებთ) თქვენს იმ პირადმონაცემებს, რომელიც არის დუბლირებადი თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების (გამოყენების) განსაზღვრის მიზნებისთვის. გარდა ამისა, როდესაც ჩვენთვის დამუშავების მიზნების მიღწევა შესაძლებელია თქვენი პირადი მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების (გამოყენების) გარეშე,ჩვენ არ ვაგროვებთ ან ვამუშავებთ (არ ვიყენებთ) თქვენს პირად მონაცემებს.
6.	**პირადი მონაცემების სიზუსტე**	თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებისას (გამოყენებით), ყველა გონივრული ზომა უნდა იქნას მიღებული, რათა უზრუნველყოფილ იქნას თქვენი პირადი მონაცემების სიზუსტე და შესაბამისობა.	ჩვენ, უზრუნველვყობთ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე გონივრულ წვდომას. ჩვენ დავნერგეთ და ვიყენებთ სპეციალურ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, რომელიც საშუალებას გაძლევთ, რომ ნახოთ თქვენი ის პირადი მონაცემები რომლებიც ადრე თქვენ მიერ იქნამოწოდებული, განახლებული (განმარტებული, შეცვლილი) და წაშლილი, თუ ასეთი პირადი მონაცემები არის არასწორი ან მოძველებული.
7.	**შენახვის შეზღუდვა**	თქვენი პირადი მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვა იმ ფორმით, რომელიც თქვენს იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა აკრძალულია.	ჩვენ მკაცრად ვაკონტროლებთ თქვენი პერსონალური მონაცემების შენახვის პირობების დაცვას და არ ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს არის საჭირო იმისათვის, რომ მივაღწიოთ თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების (გამოყენების) მიზნებს, რომელიც მითითებულია ჩვენ მიერ, ან გარკვეული სამართლებრივი მოთხოვნებით და ვინახავთ თქვენის პერსონალურ მონაცემებს უფრო ხანგრძლივი ვადით. გარდა ამისა, ჩვენ დავნერგეთ სისტემა თქვენი პირადი მონაცემების ყველა სარეზერვო ასლის შენახვის დროის შეზღუდვისთვის. თქვენი პირადი მონაცემების სარეზერვო პერიოდის შენახვის პერიოდი 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღეა.

8.	**კონფიდენციალურობა**	თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას (გამოყენებისას), მათ დასაცავად, ისეთი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული, რომელიც ხელს უშლის თქვენი პირადი მონაცემების არასანქცირებული წვდომის ნებისმიერ მცდელობას, მათ არაავტორიზებულ ან უკანონო დამუშავებას (გამოყენება); ისევე, როგორც ნებისმიერი სიტუაციის თავიდან აცილებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თქვენი პირადი მონაცემების შემთხვევითი წაშლა (განადგურება).	ჩვენი ვებ-გვერდის საინფორმაციო არქიტექტურა შემუშავებულია და დაინერგა კონფიდენციალურობის პრინციპების მიხედვით, რომელიც, ერთ-ერთი წამყვანი სტანდარტით, საერთაშორისოდ აღიარებულია ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში. გარდა ამისა, თქვენი პერსონალური მონაცემებისთვის, ჩვენ ვიყენებთ ყველაზე მძლავრ და ბაზარზე წამყვან ტექნიკურ ინსტრუმენტებს, პროგრამულ გადაწყვეტილებებსა და პროდუქტებს, როგორც დამატებით უსაფრთხოების ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებისა და დაცვის უმაღლეს დონეს.
9.	**ანგარიშვალდებულება**	თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების (გამოყენების) ყველა ოპერაცია უნდა განხორციელდეს ისე, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ შეგვეძლოს დავამტკიცოთ, რომ ისინი განხორციელდა ექსკლუზიურად თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების (გამოყენების) ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად.	ჩვენ ვაწარმოებთ სპეციალურ რეესტრს, თქვენს პირად მონაცემებთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ განხორციელებული ყველა ქმედების შესახებ ინფორმაციის ჩასაწერად.

7. ვის პირად მონაცემებს ვაგროვებთ?

7.1. პერსონალური მონაცემები შეიძლება იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს თქვენზე პირადად, ან რომლის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ ან ირიბად განვსაზღვროთ თქვენი ვინაობა. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია შევაგროვოთ, შევინახოთ და დავამუშავოთ (გამოვიყენოთ) თქვენი პერსონალური მონაცემები, თუ:

7.1.1. თქვენ ხართ ჩვენი საიტის დაურეგისტრირებელი სტუმარი; და (ან)

7.1.2. თქვენ ხართ ჩვენი საიტისა და სერვისების რეგისტრირებულიმომხმარებელი; და (ან)

7.1.3. თქვენი პერსონალური მონაცემები მოგვაწოდა ჩვენი საიტისა და სერვისების რეგისტრირებულმა მომხმარებელმა.

7.2. ჩვენ მიზანმიმართულად და შეგნებულად არ ვაგროვებთ (ვიღებთ) ან არ ვითხოვთ პერსონალურ მონაცემებს 18 (თვრამეტი) წლამდე ასაკის პირებისგან. ეს არის თანხმობას დაქვემდებარებული ასაკი (**„თანხმობის ასაკი“**). ანუ, სანამ გარკვეულ ასაკს მიაღწევთ, უნდა გქონდეთ თქვენი მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლებისგან მიღებული თანხმობა (**„კანონიერი წარმომადგენლები“**).

7.3. თუ თქვენ ხართ იმ პიროვნების კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც არ მიუღწევია თანხმობის შესაბამის ასაკამდე და გაქვთ საფუძველი იფიქროთ, რომ მათ მოგვაწოდეს თავიანთი პერსონალური მონაცემები თქვენი თანხმობის გარეშე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს რომელიმე შემდეგი გზით

მონაცემთა დაცვის ოფიცრის კონტაქტები	
საფოსტო მისამართი:	თბილისი, კოსტავას #68
ელექტრონული ფოსტის მისამართი:	support@aetis.ge
ტელეფონის ნომერი:	032 240 93 40

8. როგორ და რა პერსონალურ მონაცემებს ვაგროვებთ (ვიღებთ) და რის საფუძველზე?

პერსონალური მონაცემები შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს პირადად თქვენზე, ან რომლის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ ან ირიბად განვსაზღვროთ თქვენი ვინაობა. ჩვენთან თქვენი ურთიერთქმედების ბუნებიდან გამომდინარე, ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეიცვალოს თქვენი პერსონალური მონაცემების კატეგორიების შინაარსი, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ (ვიღებთ).

ნებისმიერ შემთხვევაში, არ ვაგროვებთ (ვიღებთ) თქვენს პირად მონაცემებს, რომლებიც მიეკუთვნება პერსონალური მონაცემების სპეციალურ კატეგორიებს (კერძოდ, ინფორმაციას თქვენი რასის ან ეროვნების შესახებ; ინფორმაციას თქვენი რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის შესახებ; ინფორმაცია თქვენი სექსუალური ცხოვრების შესახებ და (ან) სექსუალური ორიენტაცია; ინფორმაცია თქვენი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ; ინფორმაცია პროფკავშირებში თქვენი წევრობის შესახებ; ინფორმაცია თქვენი ჯანმრთელობის შესახებ; ასევე თქვენი

გენეტიკური ან ბიომეტრიული მონაცემები). გარდა ამისა, ჩვენ ასევე არ ვაგროვებთ (არ ვიღებთ) ინფორმაციას თქვენი სისხლის სამართლის ბრალდებების ან ნასამართლობის შესახებ.

იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნათლად წარმოვაჩინოთ თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვების (მიღების) პროცესი და მათი დამუშავება (გამოყენება) და მესამე მხარეებისთვის გამჟღავნება ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მითითებული მიზნების მისაღწევად, ჩვენ შევქმენით შემდეგი ცხრილი (რომელშიც უკვე ნათქვამია თქვენი რა კატეგორიის პერსონალური მონაცემებს ვაგროვებთ (ვიღებთ), ვამუშავებთ (ვიყენებთ) და ვუმხელთ მესამე პირებს და რა ეტაპზე; რა კონკრეტული მიზნებისთვის ვაგროვებთ (ვიღებთ), ვამუშავებთ (ვიყენებთ) და ვამხელთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს და რა სამართლებრივი საფუძვლით):

№	პირადი მონაცემების კატეგორიები და მათი შინაარსი (კონტენტი)	შეგროვების (მიღების) ეტაპი	მიღების წყაროები	შეგროვების და დამუშავების მიზნები	შეგროვებისა და დამუშავების ბაზები	ტრანსფერი/გადაცემა და მისი მიზნები
I. პირადობის მონაცემები						
1.	თქვენი სრული სახელი (სახელი, გვარი, შუა სახელი)	თქვენი პირადი ანგარიშის შესახებ ინფორმაციის შევსება.	რეგისტრაციის ფორმა საიტზე; და (ან)	თქვენი, როგორც IP ობიექტების დეპონირების მომხმარებლის იდენტიფიცირება;	თქვენი თანხმობა, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე; (ან) და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.	GeChain ID სერვისი – თქვენი, როგორც მომხმარებლის იდენტიფიკაციისთვის (ავთენტიფიკაციისთვის).
2.	ასაკი (დაბადების თარიღი)	შეავსეთ თქვენი ინფორმაცია თქვენს პირად ანგარიშში.	ფორმა თქვენს პირად ანგარიშში.	იმ პირთა საიტზე რეგისტრაციის ფაქტების პრევენციისთვის , რომლებსაც არ მიუღწევიათ საჭირო ასაკისთვის, გარიგებების დასადებად/ტრანზაქციების განსახორციელებლად და მათი პირადი მონაცემების	თქვენივე თანხმობა თქვენი მონაცემების დამუშავებაზე; და (ან)ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და (ან)ჩვენი შესრულება იმ ვალდებულებებთან მიმართებაში ,	არ გადაეცემა მესამე პირებს.

				მიწოდებისთვის ზრდასრული პირის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, თანხმობის ასაკი.	რომლებიც გვეკისრება, როგორც მაკონტროლებელს კანონის საფუძველზე; და (ან) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი თქვენი ასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებით.	
3.	ID ნომერი (პირადი პირადობის ნომერი, უფლებამოსილება, გაცემის თარიღი, მოქმედების ვადა) ან ბიზნეს ID ნომერი (ბიზნეს მისამართი, ბანკის დეტალები (ბანკის	შეავსეთ თქვენი ინფორმაცია თქვენს პირად ანგარიშში.	ფორმა თქვენს პირად ანგარიშში.	იმ პირთა საიტზე რეგისტრაციის ფაქტების პრევენცია, რომლებმაც არ მიაღწიეს საჭირო ასაკს გარიგებების დასადებად/ტრანზაქციების განსახორციელებლად ხოლო მათი პერსონალური მონაცემების მიწოდებისთვის ზრდასრული პირის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, თანხმობის ასაკი.	თქვენი თანხმობა თქვენი მონაცემების დამუშავებაზე; და (ან) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და (ან)ჩვენი შესაბამისობა იმ ვალდებულებებთან, რომლებიც გვეკისრება, როგორც მაკონტროლებელს კანონის საფუძველზე; და	არ გადაეცემა მესამე პირებს.

	სახელი, ანგარიში, IBAN, SWIFT ან ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა)				(ან) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, ასეთი თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებით.	
II. საკონტაქტო დეტალები						
4.	ელ.ფოსტის მისამართი (ელექტრონული ფოსტა)	რეგისტრაცია საიტზე. თქვენი პირადი ანგარიშის შესახებ ინფორმაციის შევსება.	რეგისტრაციის ფორმა საიტზე; და (ან) თქვენი პირადი ანგარიშის ფორმა. GeChain ID მომსახურება.	ურთიერთქმედება თქვენთან, როგორც საიტის მომხმარებელთან და მასზე წარმოდგენილი სერვისების მეშვეობით. როგორც საიტის და მისი სერვისების მომხმარებლისთვის, თქვენთვის სხვადასხვა სახის შეტყობინებების გამოგზავნა. შესაძლებლობის მოცემა, რომ გადააყენოთ და (ან) აღადგინოთ პაროლი თქვენივე ანგარიშში შესასვლელად.	თქვენი თანხმობა თქვენი მონაცემების დამუშავებაზე; და / (ან) ჩვენ მიერ, თქვენს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და (ან)ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, თქვენი ასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებით.	GeChain ID თქვენი, როგორც მომხმარებლის იდენტიფიკაციის (ავთენტიფიკაციის) სერვისი.
III. ინფორმაცია იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც იღებთ						
5.	ინფორმაცია მომსახურების	ინვოისების განყოფილება თქვენს ანგარიშში.	მომხმარებლის სრული სახელი, სერვისის	თქვენ მიერ მოთხოვნილი და გაცემული სერვისების გააქტიურება ჩვენს	თქვენი თანხმობა, თქვენი მონაცემების დამუშავებაზე; და	არ გადაეცემა მესამე პირებს.

	შესახებ (შეკვეთილი, გაუქმებული, გადაუხდელი, ასევე გადახდილი და ა.შ.)		შესახებ დეტალები, ელ.ფოსტა.	საიტზე, მისივე სერვისების მეშვეობით.	(ან)ჩვენ მიერ თქვენს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და (ან) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, თქვენიასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებით.	
6.	ინფორმაცია თქვენ მიერ განხორციელებული გადახდების შესახებ იმ სერვისებზე, რომლებიც გაცემული გაქვთ ჩვენს საიტზე და რომლებს	შესყიდვების განყოფილება ჩამოყალიბდა თქვენს ანგარიშში.	ბარათის ნომერი, მომხმარებლის სრული სახელი, ბარათის მოქმედების თარიღი.	თქვენთვის, როგორც ჩვენი საიტის და მისი სერვისების მომხმარებლისთვის, სტატისტიკური მონაცემების მოწოდებაც, ჩვენთან არსებულ ფინანსურ ურთიერთობასთან დაკავშირებით.	თქვენი თანხმობა, თქვენი მონაცემების დამუშავებაზე; და (ან) ჩვენ მიერ თქვენს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და (ან) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, თქვენი ასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებით	არ გადაეცემა მესამე პირებს.

	აც იყენებთ საიტის სერვისებზე (თანხა, მეთოდი, თარიღი, გადახდის ვალუტა; ინფორმაცია, წარუმატებელი გადახდების შესახებ; ინფორმაცია, გადახდილი თანხების სრული ან ნაწილობრივი დაბრუნების შესახებ; ინფორმაცია, თანხის დაბრუნების პროცედუ					

	რის შესახებ და ა.შ.)					
IV. **უფლებამოსილებები**						
7.	**ლოგ-ინი (თქვენი ელ)**	რეგისტრაცია საიტზე; და (ან) ინფორმაციის შევსება თქვენს შესახებ, თქვენივე ანგარიშში.	საიტზე რეგისტრაციის ფორმა; და (ან) ფორმა, თქვენი მომხმარებლის ანგარიშში.	მომხმარებლის ბაზასთან შიდა მუშაობისთვის.	თქვენი თანხმობა, თქვენი მონაცემების დამუშავებაზე; და (ან) ჩვენ მიერ თქვენს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და (ან) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, თქვენი ასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებით.	არ გადაეცემა მესამე პირებს.
8.	**პაროლი**	რეგისტრაცია საიტზე; და (ან) ინფორმაციის შევსება თქვენს შესახებ, თქვენსავე ანგარიშში.	საიტზე რეგისტრაციის ფორმა; და (ან) ფორმა, თქვენი მომხმარებლის ანგარიშში.	მომხმარებლის ბაზასთან შიდა მუშაობისთვის.	თქვენი თანხმობა, თქვენი მონაცემების დამუშავებაზე; და (ან) ჩვენ მიერ, თქვენს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების	არ გადაეცემა მესამე პირებს.

					შესრულება; და (ან) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, თქვენიასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებით.	
9.	**თქვენი ანგარიშის შექმნის თარიღი და დრო**	რეგისტრაცია საიტზე.	სარეგისტრაციო ფორმა საიტზე.	მომხმარებლის ბაზასთან შიდა მუშაობისთვის.	თქვენი თანხმობა, თქვენი მონაცემების დამუშავებაზე; და (ან) ჩვენ მიერ, თქვენს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და (ან) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, თქვენი ასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებით.	არ გადაეცემა მესამე პირებს.
V. ტექნიკური დეტალები						
10.	**ინფორმაცია ჩვენი საიტის გამოყენების შესახებ**	ყოველ ჯერზე, როცა ურთიერთობთ ჩვენს საიტთან და მის	Google Analytics სერვისი.	ანალიტიკური და სტატისტიკური მიზნები. შიდა (მათ შორის ტექნიკური და სამართლებრივი)	თქვენი თანხმობა, თქვენი მონაცემების დამუშავებაზე; და (ან)	არ გადაეცემა მესამე პირებს.

	(ვიზიტის დრო; ბმული, საიდანაც განხორციელდა გადასვლა საიტზე; მასზე ყოფნის დრო; საიტის გვერდებზე ვიზიტების ისტორია და რუკა; ინფორმაცია საიტზე განხორციელებული ქმედებებისა და მათი შესრულების დროის შესახებ და ა.შ.)	სერვისებთან.		მიზნები. მარკეტინგული და სარეკლამო მიზნები.	ჩვენ მიერ, თქვენს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და (ან) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, თქვენი ასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებით.	

11.	**IP მისამართი**	ყოველ ჯერზე, როცა ურთიერთობთ ჩვენს საიტთან და მის სერვისებთან.	თქვენი IP მისამართის დასადგენად გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და ტექნოლოგიები. IP მისამართი არის ძირითადი ქსელის ინფორმაცია, რომლის შესახებაც მონაცემებს ჩვენ ვიღებთ სერვერისდან .	შიდა (მათ შორის ტექნიკური და სამართლებრივი) მიზნები. მარკეტინგული და სარეკლამო მიზნები. თქვენი, როგორც ჩვენი საიტის და მისი სერვისების მომხმარებლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა (თქვენს ანგარიშზე არაავტორიზებული წვდომის ფაქტების პრევენცია).	თქვენი თანხმობა, თქვენი მონაცემების დამუშავებაზე; და (ან) ჩვენ მიერ თქვენს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და (ან) ჩვენ მიერ, კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება; და (ან) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, თქვენი ასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებით.	არ გადაეცემა მესამე პირებს.
12.	**ინფორმაცია ანგარიშში შესვლის, მასში ყოფნის დროისა და მისგან გამოსვლის დროის**	ყოველ ჯერზე, როცა ურთიერთობთ ჩვენს საიტთან და მის სერვისებთან.	ტექნიკური საშუალებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიყენება თქვენი მონაცემების თვალყურის	შიდა (მათ შორის ტექნიკური და სამართლებრივი) მიზნები. მარკეტინგული და სარეკლამო მიზნები. თქვენი, როგორც ჩვენი საიტის და მისი სერვისების მომხმარებლის	თქვენი თანხმობა, თქვენივე მონაცემების დამუშავებაზე; და (ან) ჩვენ მიერ კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება; ან (და)	არ გადაეცემა მესამე პირებს.

	შესახებ.		დევნებისთვ ის.	უსაფრთხოების უზრუნველყოფა (თქვენს ანგარიშზე არაავტორიზებული წვდომის ფაქტების პრევენცია).	ჩვენი მხრიდან დაკისრებულ ვალდებულებებთა ნ შესაბამისობა, კანონის შესაბამისად; ან (და) ● ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი , ასეთი პირადი მონაცემების დამუშავებაში.	
13.	**ინფორმაც ია იმ მოწყობი ლობის შესახებ, საიდანაც განხორციელდა ვებ-გვერდზე შესვლა (ანგარიში ს მონაცემებ ის ჩათვლით): ინფორმაც ია ოპერაციუ**	ყოველ ჯერზე, როცა ურთიერთობთ ჩვენს საიტთან და მის სერვისებთან.	ტექნიკური საშუალებებ ი და გადაწყვეტი ლებები, რომლებიც გამოიყენება თქვენი ასეთი მონაცემების თვალყურის დევნებისთვ ის (მათ შორის Google Analytics, სტანდარტუ ლი ქსელის სტეკი).	შიდა (მათ შორის ტექნიკური და სამართლებრივი) მიზნები. მარკეტინგული და სარეკლამო მიზნები. თქვენი, როგორც ჩვენი საიტის და მისი სერვისების მომხმარებლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა (თქვენს ანგარიშზე არაავტორიზებული წვდომის ფაქტების პრევენცია).	თქვენი თანხმობა თქვენივე მონაცემების დამუშავებაზე; ან (და) ჩვენ მიერ, ხელშეკრულებ ით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება; ან (და) ჩვენი შესაბამისობა ვალდებულებებთა ნ, რომლებიც დაწესებულია ჩვენზე, როგორც კანონის ოპერატორზე; ან (და)	არ გადაეცემა მესამე პირებს.

					• ჩვენი	

	ლი სისტემისა და პლატფორმის შესახებ.				ლეგიტიმური ინტერესი, თქვენიასეთი პირადი მონაცემების დამუშავებაში.	
14.	**ინფორმაცია ბრაუზერის შესახებ, რომლის მეშვეობითაც მოხდა საიტზე შესვლა (მათ შორის, ანგარიში)**	ყოველ ჯერზე, როცა ურთიერთობთ ჩვენს საიტთან და მის სერვისებთან.	ტექნიკური საშუალებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიყენება თქვენი მონაცემების თვალყურის დევნებისთვის (მათ შორის, Google Analytics, სტანდარტული ქსელის სტეკი).	შიდა (კერძოდ, ტექნიკური) მიზნები. მარკეტინგული და სარეკლამო მიზნებისათვის.	● თქვენი თანხმობა, თქვენივე მონაცემების დამუშავებაზე; ან (და) ჩვენ მიერ, თქვენს წინაშე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება; ან (და) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, თქვენი, ასეთი პირადი მონაცემების დამუშავებაში.	არ გადაეცემა მესამე პირებს.
15.	**ქუქი-ფაილები**	ყოველ ჯერზე, როცა ურთიერთობთ ჩვენს საიტთან და მის სერვისებთან.	➢თქვენს მონაცემებთან მიმართებით გამოყენებული ტექნიკური საშუალებებ	ჩვენ მიერ , მომხმარებლის სესიების მექანიზმის უზრუნველყოფა. მარკეტინგული და სარეკლამო მიზნები.	თქვენი თანხმობა თქვენივე მონაცემების დამუშავებაზე; ან (და) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი თქვენი,	არ გადაეცემა მესამე პირებს.

			ი და გადაწყვეტილებები; ან (და) თქვენი ბრაუზერი.		ასეთი პირადი მონაცემების დამუშავებაში.	
Vi. შემოქმედებითი საქმიანობის მონაცემები						
16.	**ინფორმაცია ატვირთული ნამუშევრებისა და მათი მონაცემების შესახებ (სათაური; შექმნის თარიღი; განაცხადის სფერო; თანაავტორები; თანაავტორების საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.)**	✓ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დეპონირება (IPI)	✓ IPI-ის შესატანი ფორმა, რომელსაც ავსებთ თქვენს ანგარიშში	✓ ავტორობის რეგისტრაცია და დეპოზიტის ფაქტი.	✓ თქვენი თანხმობა, თქვენივე მონაცემების დამუშავებაზე; ან (და) ჩვენ მიერ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება; ან (და)ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, თქვენი, ასეთი პირადი მონაცემების	✓ GeChain Global Network. (GeChain გლობალური ქსელი)

					დამუშავებაში.	

9. როგორც ვამუშავებთ და ვამჟღავნებთ თქვენს პირად მონაცემებს?

9.1. თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება (გამოყენება) გახლავთ თქვენი პერსონალური მონაცემებით შესრულებული ნებისმიერი ქმედება. ასეთი ქმედებები, შეიძლება მოიცავდეს შეგროვებას (მიღებას); ჩაწერას; ორგანიზებას; სტრუქტურირებას; შენახვას; ადაპტაციას ან ცვლილებას (დამუშავებას, მოდიფიკაციას); ძიებას ან შერჩევას; გამოყენება; გამჟღავნებას გადაცემის გზით, განაწილებას, წვდომის უზრუნველყოფას ან სხვა გზათ: დაჯგუფებას ან კომბინირებას; თქვენი პერსონალური მონაცემების შეზღუდვას (დაბლოკვას) ან განადგურებას (წაშლას).

ამავდროულად, ჩვენ არ ვამუშავებთ (არ ვიყენებთ) თქვენს პერსონალურ მონაცემებს კომერციული მიზნებისთვის. ეს სიტყვასიტყვით ნიშნავს შემდეგს: ჩვენ არ ვყიდით, არ ვაქირავებთ ან არ ვაგირავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, სხვა ორგანიზაციებზე ან მესამე მხარეებზე ნაღდი ფულის ან სხვა ექვივალენტური სანაცვლოდ.

9.2. ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში ასახულ ზოგიერთ შემთხვევაში, თქვენი პერსონალური მონაცემები, შეიძლება მივაწოდოთ მესამე მხარეებს შემდეგი მიზნებისთვის:

9.2.1. რათა დაგეხმაროთ სერვისების მიწოდებაში და მოგაწოდოთ თქვენ მიერ მოთხოვნილი სერვისები და თქვენ მიერ განხორციელებული გამოწერები (იხილეთ, მაგალითად, წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკის მე-8 ნაწილი);

9.2.2. ჩვენ მიერ პირდაპირი ბიზნეს საქმიანობის განსახორციელებლად(მაგალითად, თქვენი მონაცემების, ჩვენთან დაკავშირებულ კომპანიებზე გადაცემისას, ზოგადი ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე);

9.2.3. ჩვენი ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული, ჩვენი უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების განსახორციელებლად (მაგალითად, შეიძლება გავყიდოთ, ვიყიდოთ და გავერთიანდეთ სხვა კომპანიებთან და საწარმოებთან, ან ნაწილობრივ ან მთლიანად გავყიდოთ ჩვენი აქტივები. ასეთი ტრანზაქციების ფარგლებში, ინფორმაცია თქვენს შესახებ, როგორც

ჩვენი საიტის მომხმარებლის შესახებ და მისი სერვისების შესახებ, შეიძლება გადაცემულ იყოს აქტივების რაოდენობაში);

9.2.4. კანონის მოთხოვნების ან შესაბამისი მარეგულირებელი, სამეთვალყურეო, სამართალდამცავი ან (და) სასამართლო ორგანოების ბრძანებების შესასრულებლად (მაგალითად, როდესაც თქვენი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება აუცილებელია პოტენციური უკანონო ქმედებების გამოსაძიებლად, პრევენციისათვია ან ქმედებების საწინააღმდეგო ზომების მისაღებად; თაღლითობაზე ეჭვის არსებობისას; სიტუაციები, რომლებიც მიუთითებს პოტენციურ საფრთხეზე,მესამე მხარის უფლებების დარღვევის ან (და) ჩვენი უფლებების, კანონიერი ინტერესების და ჩვენი საკუთრების, როგორც ორგანიზაციის, ჩვენი თანამშრომლების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, ასევე უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ. ჩვენი საიტისა და მისი სერვისების სხვა მომხმარებლებთან დაკავშირებული სიტუაციები, რომლებიც შეიცავს პოტენციურ საფრთხეს პირის ფიზიკურ უსაფრთხოებათან დაკავშირებით, ან ეხება ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის და ჩვენი საიტისა და მისი სერვისების მოხმარების წესების დარღვევას;

9.2.5. სხვა მიზნებისთვის და სხვა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მიღებული გვაქვს თქვენი თანხმობა ამ ან (და) სხვა სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ან (და) ითხოვს ჩვენგან, რომ გავამჟღავნოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, თქვენი თანხმობის არარსებობისშემთხვევაში.

10. როგორ და სად ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?

10.1. ჩვენ ვართ ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე **შპს „აიპი რეგისტრი“** (ს/ნ 404619659). აქედან გამომდინარე, ჩვენი მთავარი ოფისები მდებარეობს საქართველოში.

11. რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?

11.1. ჩვენ ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ მანამ, სანამ ეს აუცილებელია იმ მიზნების შესასრულებლად, რისთვისაც შევაგროვეთ ისინი; ასევე ნებისმიერი მარეგულირებელი, სააღრიცხვო და ანგარიშგების მოთხოვნების

დაკმაყოფილების მიზნით; იურიდიული სამუშაოს შესრულებისთვის ან სამართლებრივი დაცვისთვის.

11.2. პერსონალური მონაცემების შენახვის შესაბამისი პერიოდის დასადგენად, ჩვენ ვითვალისწინებთ პერსონალური მონაცემების მოცულობას, ბუნებას და სენსიტიურობას, და მათი არაავტორიზებული გამოყენების ან გამჟღავნების შედეგად წარმოშობილი ზიანის პოტენციურ რისკს; ასევე იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ვამუშავებთ (ვიყენებთ) თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

გარდა ამისა, ჩვენ ასევე ვითვალისწინებთ, რომ გვაქვს უნარი თქვენი პირადი მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისა (გამოყენების) შესაბამისი მიზნების მისაღწევად სხვა იმ საშუალებებით, რომლებიც არ საჭიროებს თქვენი პირადი მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას; ისევე როგორც შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნები.

11.3. ქუქი-ფაილების შენახვის პერიოდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის მე -13 ნაწილი.

11.4. თუ გსურთ გაიგოთ უფრო მეტი დოკუმენტების დაცვის პერიოდების შესახებ, რომლებიც თქვენს პირად მონაცემებზე ვრცელდება, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს შემდეგი გზით:

მონაცემთა დაცვის ოფიცრის კონტაქტები	
საფოსტო მისამართი:	თბილისი, კოსტავას #68
ელექტრონული ფოსტის მისამართი:	support@aetis.ge
ტელეფონის ნომერი:	032 240 93 40

11.5. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება დავიცვათ თქვენი პირადი მონაცემების ანონიმურობა (ისე, რომ არ მოხდეს ამ მონაცემების თქვენთან ასოცირება) კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის. ამ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ასეთი მონაცემები განუსაზღვრელი ვადით, თქვენი შემდგომი შეტყობინების გარეშე.

12. რა უფლებები გაქვთ თქვენს პირად მონაცემებთან მიმართებაში?

მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიხედვით, თქვენ გაქვთ რამდენიმე უფლებამოსილება, რომელიც დაკავშირებულია თქვენს პერსონალურ მონაცემებთან, რაც ვალდებულნი ვართ რომ გაცნობოთ. ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს უფლებებს და მათი მკაცრად დაცვის გარანტიას ვიძლევით. თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების (გამოყენების) საფუძვლიდან გამომდინარე, თქვენთვის შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს შემდეგი უფლებები

№	თქვენ გაქვთ უფლება:	უფლების შინაარსი
1.	**ინფორმირებულ იყოთ თქვენი პირადი მონაცემების დამუშავების თაობაზე (გამოყენებაზე)**	იმ მომენტამდე, სანამ არ მოგვაწოდებთ თქვენს პირად მონაცემებს, თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ ჩვენგან დროული ინფორმაცია იმის შესახებ,თუ : √ ვინ ვართ ჩვენ; √ როგორ ვაგროვებთ, ვინახავთ, ვამუშავებთ (გამოვიყენებთ), გადავცემთ და ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს. ამის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია მოწოდებული უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომ ფორმატში და წარმოდგენილი იყოს მოკლე და გასაგები ფორმით, მარტივ და გასაგებ ენაზე.
2.	**იქონიოთ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა**	თქვენ გაქვთ უფლება დაგვიკავშირდეთ მოთხოვნით, რომ მოგაწოდოთ: √ დადასტურება იმისა, რომ ვაგროვებთ ან არ ვაგროვებთ, ვამუშავებთ (გამოვიყენებთ) ან ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს; ან (და) √ ყველა პერსონალური მონაცემის ასლი, რომელიც ჩვენ გვაქვს და რომლის დამუშავებას (გამოყენება) და შენახვას ჩვენ ვახორციელებთ; ან (და) ინფორმაცია: √ რა სახის თქვენი პერსონალური მონაცემები გვაქვს ჩვენ; √საიდან მივიღეთ თქვენი პერსონალური მონაცემები; √როგორ და რატომ ვამუშავებთ (ვიყენებთ) თქვენს პერსონალურ მონაცემებს; √ვის და რატომ გადავცემთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.
3.	**შეცვალოთ თქვენი არასწორი პირადი**	თქვენ გაქვთ უფლება დაგვიკავშირდეთ

	მონაცემები	მოთხოვნით: √შევასწოროთ (შევცვალოთ, ჩავანაცვლოთ) ან წავშალოთ თქვენს შესახებ ინფორმაცია, რომელსაც მიიჩნევთ არაზუსტად ან შეუსაბამოდ; √ შევავსოთ თქვენს შესახებ არსებული ინფორმაცია იმ ინფორმაციით, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც თქვენს შესახებ ასეთი ინფორმაცია არასრულად გეჩვენებათ
4.	**წაშალოთ (გაანადგუროთ) თქვენი პირადი მონაცემები**	თქვენ გაქვთ უფლება დაგვიკავშირდეთ თქვენი პირადი მონაცემების წაშლის (განადგურების) თხოვნით,როდესაც: ✓ ჩვენ აღარ გვჭირდება თქვენი პერსონალური მონაცემები იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც ისინი თავდაპირველად შეგროვდა ან დამუშავდა (გამოყენებულ იქნა) ჩვენ მიერ; ან (და) ✓ თქვენ გააუქმეთ თქვენი ადრინდელი თანხმობა, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე (გამოყენებაზე); ან (და) ✓ ეწინააღმდეგებით თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას (გამოყენებას) და თქვენი კანონიერი ინტერესები აღემატება ჩვენს იმ ლეგიტიმურ ინტერესებს, რის საფუძველზეც, ჩვენ ვამუშავებთ (ვიყენებთ) თქვენს პერსონალურ მონაცემებს; ან (და) ✓ ეწინააღმდეგებით თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას (გამოყენებას) თქვენთან პირდაპირი კონტაქტის დამყარების მიზნით. ✓ ჩვენ ვამუშავებთ (ვიყენებთ) თქვენს პერსონალურ მონაცემებს უკანონოდ; ან (და) ✓ ჩვენ გვაქვს კანონიერი ვალდებულება, წავშალოთ (გავანადგუროთ) თქვენი პერსონალური მონაცემები; ან (და) თქვენი პერსონალური მონაცემები შეგროვდა თქვენგან, ონლაინ სერვისების მოწოდების მიზნით, როცა იყავით ბავშვი ;
5.	**შეზღუდოთ (დაბლოკოთ) თქვენს პირად მონაცემებზე წვდომა**	თქვენ გაქვთ უფლება დაგვიკავშირდეთ მოთხოვნით: ✓ რათა დროებით შევზღუდოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება (გამოყენება), როდესაც: • თქვენ მიგაჩნიათ ჩვენ მიერ დამუშავებული თქვენი პერსონალური მონაცემები არაზუსტად ან • თქვენ ეწინააღმდეგებით ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას(გამოყენებას); ✓ შეაჩეროთ თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლის პროცესი, როდესაც: გჯერათ, რომ ჩვენ ვამუშავებთ (ვიყენებთ) თქვენს პირადი მონაცემების

		უკანონოდ, მაგრამ არ გსურთ ასეთი მონაცემების წაშლა; ან ▪ √ გჯერათ, რომ ჩვენ აღარ გვჭირდება თქვენი პირადი მონაცემების დამუშავება (გამოყენება), მაგრამ გსურთ, რომ დავიცვათ ისინი იურიდიული პრეტენზიების/საჩივრების შექმნის, განხორციელების ან დაცვის მიზნით.
6.	**გააპროტესტოთ თქვენი პირადი მონაცემების დამუშავება (გამოყენება)**	გარკვეულ შემთხვევებში, თქვენ გაქვთ უფლება , გამოგვიგზავნოთ თქვენი პროტესტი თქვენივე პერსონალური მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს ფაქტობრივად ნიშნავს, რომ თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ შევწყვიტოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება (გამოყენება) ერთი ან რამდენიმე შემდეგი მიზნისთვის: √სოციალურად მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევა;ან (და) √ ჩვენთვის მინიჭებული ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელება; ან (და) √ დავიცვათ ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები; ან (და) √ სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის; ან (და) √ თქვენთან უშუალო კონტაქტისთვის.
7.	**მოახდინო თქვენი პირადი მონაცემების გადაცემა**	თქვენ გაქვთ უფლება დაგვიკავშირდეთ მოთხოვნით: ✓ მოგაწოდოთ ხელმისაწვდომ და კომპიუტერით წაკითხვად ფორმატში (მაგალითად, CSV ფაილის სახით) თქვენი პერსონალური მონაცემები, რომლებიც პირადად მოგვაწოდეთ ან შეგროვდა ჩვენმიერ ჩვენი ვებსაიტის გამოყენებისას თქვენი საქმიანობის მონიტორინგის პროცესში; ან (და) ✓ გადაიტანოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, რომლებიც პირადად მოგვაწოდეთ, ან რომლებიც შეგროვდა ჩვენ მიერ, თქვენი აქტივობის მონიტორინგის პროცესში ჩვენი ვებგვერდის გამოყენებისას თქვენს მიერ მითითებულ სხვა კომპანიაში, იმ პირობით, რომ ასეთი გადაცემა ტექნიკურად შესაძლებელია.

თქვენი ზემოთ ნახსენები ნებისმიერი უფლების გამოსაყენებლად, შეგიძლიათ შესაბამისი მოთხოვნით მიმართოთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს შემდეგი გზით:

მონაცემთა დაცვის ოფიცრის კონტაქტები	
საფოსტო მისამართი:	თბილისი, კოსტავას #68
ელექტრონული ~~ფოსტის~~ მისამართი:	support@aetis.ge
ტელეფონის ნომერი:	032 240 93 40

ჩვენ, არანაირ საფასურს არ გახდევინებთ, თქვენს პირად მონაცემებზე წვდომის განსახორციელებლად (ან თქვენი რომელიმე უფლების განსახორციელებლად). თუ თქვენი მოთხოვნა აღმოჩნდება უსაფუძვლო, განმეორებადი ან გადამეტებული, ჩვენ გვექნება უფლება,რომ :

- ✓ მოვითხოვოთ თქვენგან ადმინისტრაციული ხარჯების გადახდა, რომელიც დაკავშირებულია თქვენი ასეთი მოთხოვნის შესრულებასთან; ან
- ✓ უარი ვთქვათ თქვენ მიერ ასეთ მოთხოვნაში მითითებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

თქვენი უფლების, პერსონალურ მონაცემებზე წვდომის, განხორციელების უზრუნველსაყოფად (ან თქვენი რომელიმე სხვა უფლების განხორციელების მიზნით), შეიძლება თქვენგან დაგვჭირდეს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოგვცემს თქვენი იდენტიფიცირების საშუალებას. ჩვენი მხრიდან, ეს ქმედება არის უსაფრთხოების ერთ-ერთი ღონისძიება, რომელსაც ვიღებთ, რაც საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ არ გავუმჟღავნებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ყველას, ვისაც არ აქვს მისი მიღების უფლება. გარდა ამისა, შეიძლება ასევე დაგიკავშირდეთ და გთხოვოთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თქვენს მოთხოვნასთან დაკავშირებით, რათა დავაჩქაროთ მასზე რეაგირების პროცესი.

ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ ვუპასუხოთ ყველა თქვენს ლეგიტიმურ მოთხოვნას, მოთხოვნის დაყენებისა და თქვენი იდენტიფიკაციის დღიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში. თუ, მოთხოვნა განსაკუთრებით რთული აღმოჩნდება ან რამდენიმე მოთხოვნას წაგვიყენებთ, პასუხის გასაცემად შეიძლება დაგვჭირდეს 1 (ერთ) კალენდარულ თვეზე მეტი. უკანასკნელ შემთხვევაში, ჩვენ აუცილებლად შეგატყობინებთ ამის შესახებ, მივუთითებთ მიზეზს და დამატებითი პერიოდის ოდენობას, რომელიც ჩვენ დაგვჭირდება.

13. რა არის ქუქი-ფაილები, და როგორ ვაგროვებთ და ვამუშავებთ (გამოყენება) მათ?

ქუქი-ფაილები არის მცირე ზომის ტექსტური ფაილები, რომლებიც შეიცავს მცირე რაოდენობით ინფორმაციას და ჩამოტვირთულია იმ მოწყობილობაში, რომელსაც იყენებთ, როდესაც ეწვევით ჩვენს საიტს. თქვენს ტექნიკურ მოწყობილობაში ჩამოტვირთვის შემდეგ, ქუქი-ფაილები იგზავნება უკან, ჩვენს საიტზე ყოველი ვიზიტის დროს, ან სხვა საიტზე, თუ ასეთი საიტი სცნობს ასეთქუქი-ფაილებს. ჩვეულებრივ, ქუქი-ფაილები ფართოდ გამოიყენება საიტების მუშაობის უზრუნველსაყოფად ან საიტის მუშაობის გასაუმჯობესებლად; ასევე ქუქი ფაილები ჩვენ, როგორც საიტის მფლობელებს, გვაწვდის შესაბამის ინფორმაციას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, ახსნილია ზუსტად რა სახის ქუქი-ფაილებს ვაგროვებთ და რატომ:

№	ქუქი-ფაილების სახელი ან რესურსის სახელი, რომელსაც ქუქი ეკუთვნის	ქუქი-ფაილების ტიპი	ქუქი-ფაილის შეგროვების მიზანი	ქუქი-ფაილი
1.	aetis.ge	სესია, მუდმივი, არ შეიძლება	მომხმარებლის პირადი ანგარიშის	1 წელი

		გამორთვა	ოპერაციისთვის	
2.	**Google Analytics**	სესია, მუდმივი, შეიძლება გამორთვა	ვიზიტების ანალიზი და მომხმარებლის ქცევის ანალიზი	Google-ის რეგლამენტის მიხედვით
3.	**GeChain ID**	სესია	ავთენტიფიკაციისთვის	ავთენტიფიკაციისთვის GEChain ID Global regulations-ის შესაბამისად

14. სამართლებრივი შედეგები თქვენს მიერ ჩვენთვის თქვენი პირადი მონაცემების მიწოდების ან არ-მიწოდების სამართლებრივი შედეგები

14.1. ჩვენს საიტზე დარეგისტრირებით ან (და) გამოყენებით ან (და) მისი სერვისების სარგებლობით, თქვენ აცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ თქვენ გვაწვდით თქვენს პერსონალურ მონაცემებს (ამა თუ იმ კატეგორიის, რომელიცმითითებულია ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის მე-8 ნაწილში).

გარდა ამისა, თქვენ აღიარებთ და ადასტურებთ, ჩვენთვის თქვენი ამ სახის პერსონალური მონაცემების დამუშავების (გამოყენების) კანონიერებას (მათ შორის, თქვენი თანხმობის გარეშე), მათი დამუშავების სხვა სამართლებრივი საფუძვლების გამო (კერძოდ, ჩვენს მიერ ჩვენი ხელშეკრულების შესრულება, თქვენ წინაშე ვალდებულებების, ჩვენს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება; ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებით), ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მითითებული მიზნებისათვის.

14.2. თუ ჩვენ გვჭირდება თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენება სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში წარმოდგენილ მიზნებთან, გარანტიას გაძლევთ, რომ ასეთი დამუშავება (გამოყენება) განხორციელდება მხოლოდ თქვენი მკაფიო თანხმობით ან თუ გვაქვს მათი დამუშავების სხვა სამართლებრივი საფუძველი და მხოლოდ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის დებულებების შესაბამისად

14.3. თუ თქვენ, რაიმე მიზეზით და ჩვენთან ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე, ეწვიეთ ან (და) იყენებთ ჩვენს საიტს და მის სერვისებს, და უარს ამბობთ მოგვაწოდოთ თქვენი რომელიმე პერსონალური მონაცემი (ამა თუ იმ კატეგორიისა, რომელიც მითითებულია ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის მე-8 ნაწილში), შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც ვერ შევძლებთ მოგაწოდოთ შესაძლებლობა იმისა,რომ გამოიყენოთ ჩვენი საიტი ან (და) მისი სერვისები სრულად ჩვენგან თქვენს შესახებ საჭირო და საკმარისი ინფორმაციის არარსებობის გამო.

14.4. თუ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის წაკითხვის შემდეგ:

14.3.1. თქვენ არ გესმით ზოგიერთი დებულება, თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნებისმიერი მოსახერხებელი გზით:

მონაცემთა დაცვის ოფიცრის კონტაქტები	
საფოსტო მისამართი:	თბილისი, კოსტავას #68
ელექტრონული მისამართი:	support@aetis.ge
ტელეფონის ნომერი:	032 240 93 40

14.3.2. თუ, თქვენ ნაწილობრივ ან სრულად არ ეთანხმებით ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკას, ასევე არ გსურთ თქვენი პერსონალური მონაცემების მოწოდება, რისთვისაც თქვენ გამოხატავთ უარს არა მხოლოდ, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოწოდებაზე, არამედ თქვენს სურვილს რომ არ დავამუშავოთ თქვენი ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, რომელიც არ საჭიროებს თქვენს თანხმობას, მაშინ თქვენ უნდა დატოვოთ საიტი მასზე რაიმე ქმედების განხორციელების გარეშე (მათ შორის, საიტზე რეგისტრაციის, სერვისების გამოყენების ქმედებებიდა ა.შ.).

14.5. თუ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის წაკითხვის შემდეგ განაგრძობთ ჩვენი საიტის მონახულებას ან (და) გამოიყენებთ მას და მის სერვისებს, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, ჩვენ გვაქვს უფლება განვიხილოთ თქვენი ასეთი ქმედებები (და თქვენი მხრიდან სხვა ისეთი ქმედებების არარსებობის შემთხვევაში რომელიც უთითებს საპირისპიროს), როგორც დადასტურება იმისა, რომ:

14.5.1. თქვენ წაიკითხეთ ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა კეთილსინდისიერად და დროულად (ჩვენი საიტისა და მომსახურების გამოყენებამდე); და

14.5.2. ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის ყველა დებულება თქვენთვის ნათელია და არ არის სადავო თქვენთვის მთლიანად ან ნაწილობრივ; და

14.5.3. თქვენ აღიარებთ, რომ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის ყველა დებულება იურიდიულად სავალდებულოა თქვენთვის.

15. ვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საჩივრის (პრეტენზიის) შემთხვევაში?

15.1. გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ თუ თქვენ გექნებათ რაიმე პრობლემა ან პრეტენზია, რომელიც დაკავშირებულია ჩვენ მიერ, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან (გამოყენებასთან), პირველ რიგში დაგვიკავშირდებით ჩვენ, რადგან ჩვენი მიზანია, ნებისმიერი თქვენი პირადი მონაცემების დამუშავების (გამოყენების) შესახებ პრობლემებისა და საჩივრების სწრაფი, ეფექტური და უსაფრთხო მოგვარება. შეგახსენებთ, რომ თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ნებისმიერი თქვენთვის მოსახერხებელი გზით:

მონაცემთა დაცვის ოფიცრის კონტაქტები	
საფოსტო მისამართი:	თბილისი, კოსტავას #68
ელექტრონული ფოსტის მისამართი:	support@aetis.ge
ტელეფონის ნომერი:	032 240 93 40

15.2 თუ რაიმე მიზეზით არ გსურთ ჩვენთან დაკავშირება, ან დაგვიკავშირდით, მაგრამ არ ხართ კმაყოფილი ჩვენს მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტით, შეგიძლიათ პირდაპირ დაუკავშირდეთ თქვენს მონაცემთა დაცვის ეროვნულ ორგანოს შესაბამისი პრობლემის ანსაჩივრის შესახებ.

საქართველოში ეს ორგანო არის პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფისი. თქვენ შეგიძლიათ გაუგზავნოთ თქვენი პრობლემა შემდეგ ბმულზე დაკლიკებით: https://personaldata.ge/ka